სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 361

ქ. დუშეთი

9 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის , გიორგი თანიაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: დუშეთი, რუსთაველის ქ. N27
საიდენტიფიკაციო კოდი: № 229324451
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, შპს ,,პარვუს ქონსთრაქშენი" წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ცოციაშვილის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი:თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, წინამძღვრიშვილის ქ N45
საიდენტიფიკაციო კოდი: 402143961
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE39TB7239936080100007

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"(შემდგომ - ხელშეკრულება) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის N674 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე.

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ შატილის ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები. (შემდგომში - სამუშაო).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები/ სკოლების მშენებლობა

3.შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა

4.დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 29 785.36 (ოცდაცხრა ათას შვიდას ოთხმოცდახუთი ლარი და 36 თეთრი.) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით წარდგენილი, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1.მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარი ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

მუხლი 6. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი (ორი) წელს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

მუხლი 7. სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის,საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის დაბრუნება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

მუხლი 8. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად.

2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან,, სსიპ

ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სამსახურიან მის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი,/სპეციალური კომისია, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) შემსყიდველთან შეათანხმოს სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის იერსახე და ხარისხი;

დ) სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე, საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

ე) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამუშაო მოედნის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა.

ვ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

ზ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

თ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული სამუშაო.

მუხლი 10. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სამსახური/სპეციალისტი ან მის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი/სპეციალური კომისია .

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოს განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

6. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან სპეციალური კომისია კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს,

ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ზიანზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

ვ) მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

თ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად ან ნაწილობრივ გადასცა ქვეკონტრაქტორს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 15. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში -- info@dusheti.gov.ge ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია ოფიციალური შეტყობინება ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.ამგვარი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ატვირთვის მომენტიდან.

3. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია

თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე
გიორგი თანიაშვილი

,, პარვუს ქონსთრაქშენი''დირექტორი

ზაზა ცოციაშვილი

Dusheti Municipality

Digitally signed by Dusheti Municipality
Date: 2019.09.10 10:58:03 +04'00'

იურისტი

9 სექტემბერი 2019 წელი
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას
შპს. „პარვუს ქონსთრაქშენი"-ს დირექტორის
ბატონი ზაზა ცოციაშვილის
წერილი

ჩვენი კომპანია, მზად არის ხელშეკრულების გასაფორმებლად, სოფ ახიელის ამბულატორიის მშენებლობის და სოფ. შატილის ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

პატივისცემით,
ზაზა ცოციაშვილი

დირექტორი
შპს „პარვუს ქონსთრაქშენი"
ტელ: (+995) 577 99 19 99

შატილის ა/ე ს.შატილში ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიის რეაბილიტაცია-შეკეთება

შედგენილია 2019 წლის I კვარტ.

№		დასახელება	განზ.	რაოდენობა		ღირებულება	
				განზ. ერთ-ზე	საპრ. მონაც.	განზ. ერთ-ზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
1	46–27-6	დაზიანებული ჭერის მოპირკეთების მოხსნა	100 მ²		0.98		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	58.0	56.84	4.60	261.46
		მანქანები	ლარი	9.85	9.65	3.20	30.89
2	46-15–2	დაზიანებული ლესილების და შეღებვის ჩამოფხეკა-გაწმენდა (50%)	100 მ²		1.77		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	18.6	32.92	4.60	151.44
		მანქანები	ლარი	9.0	15.93	3.20	50.98
3	10–13-3	მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკის შეცვლა	100 მ²		0.01		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	121.0	1.45	7.80	11.33
		მანქანები	ლარი	24.5	0.29	3.20	0.94
		მატერიალური რესურსები ფანჯრის ბლოკი (0.75.8X1.6 მ²) მეტალოპლასტმასის (1 ც)	მ²		1.20	150.00	180.00
		ქაფი	ც		1.00	5.00	5.00
		სხვა მასალები	ლარი	12.6	0.15	3.20	0.48
4	10–10-1	ჭერების მოპირკეთება ფიცრით	100 მ²		0.98		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	23.6	23.13	7.80	180.40
		მანქანები		2.25	2.21	3.20	7.06
		მატერიალური რესურსები გასუფთავებული ფიცარი სისქით 17 მმ. მშრალი, შიპებით	მ²		100.00	12.00	1200.00
		ლურსმანი	კგ		8.00	2.40	19.20
		სხვა მასალა	ლარი	1.28	1.25	3.20	4.01
5	34–61-12 10-10-3	სანკვანძებში, საპროცედუროში და კიბის გადმოხურვის ქვეშ შეკიდული პლასტიკატი სჭერის მოწყობა	100 მ²		0.23		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	123.0	28.29	6.00	169.74
		მანქანები	ლარი	2.36	0.54	3.20	1.74
		მატერიალური რესურსები პლასტიკატი	მ²	105.0	21.00	12.00	252.00
		ლითონის პროფილები	მ		68.00	2.00	136.00

		სხვა მასალები	ლარი	6.04	1.39	3.20	4.45
6	15–51-1	**კედლების დაზიანებული ლესილების აღდგენა (ღიობების ჩათვლით)**	100 მ²		0.80		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	57.4	45.92	7.80	358.18
		მანქანები	ლარი	2.1	1.68	3.20	5.38
		მატერიალური რესურსები ——————————— დუღაბი ცემენტის	მ²	1.89	1.51	92.00	139.10
7	15–14-1	**კედლების მოპირკეთება კერამიკული საკედლე ფილებით (საპროცედუროში და სანკვანძში) ჩ-1.3 მ**	100 მ²		0.32		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	170.0	54.40	7.80	424.32
		მანქანები	ლარი	0.02	0.01	3.20	0.02
		მატერიალური რესურსები ——————————— ფილა კერამიკული საკედლე (კაფელი)	მ²	100.0	32.00	18.00	576.00
		წებო-ცემენტი	კგ	600.0	192.00	0.70	134.40
		სხვა მასალები	ლარი	0.7	0.22	3.20	0.72
8	11–20-3	**იატაკების მოპირკეთება იატაკის კერამიკული ფილებით სანკვანძებში და საპროცედუროში**	100 მ²		0.15		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	108.0	16.20	7.80	126.36
		მანქანები	ლარი	4.52	0.68	3.20	2.17
		მატერიალური რესურსები ——————————— იატაკის ფილა (მეტლახი)	მ²	101.0	15.15	17.00	257.55
		წებო-ცემენტი	კგ	600.0	90.00	0.70	63.00
		პლინტუსი (კერამიკ)	მ		24.00	4.00	96.00
		სხვა მასალები	ლარი	4.66	0.70	3.20	2.24
9	15–168-3	**კედლების შეღებვა წყალემულსიის საღებავით (ღიობების ჩათვლით)**	100 მ²		3.20		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	41.0	131.20	7.80	1023.36
		მანქანები	ლარი	0.9	2.88	3.20	9.22
		მატერიალური რესურსები ——————————— საღებავი წყალემულსიის	კგ	63.0	201.60	3.50	705.60
		საფითხი	კგ	51.0	163.20	0.50	81.60
		სხვა მასალები	ლარი	0.7	2.24	3.20	7.17
10	საბაზრო	**ხის იატაკის მოხვეწა**	კვ.მ		98.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	ლარი		98.00	3.00	294.00
		სხვა მასალები	ლარი				50.00
11	15-158	**ხის იატაკის შეღებვა**	100 კვ.მ		0.98		0.00

	4.2-30	ზეთოვანი საღებავი	კგ	24.10	23.62	5.10	120.45
		ოლიფა	კგ	11.60	11.37	5.00	56.84
		სხვა მასალები	ლარი	18.00	17.64	3.20	56.45
12	კალკ.	კარის საკეტების შეცვლა	ც		9.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1.00	9.00	6.00	54.00
		კარის საკეტი	ც		5.00	26.00	130.00
13	15–159-8	კედლების შეღებვა ზეთოვანი საღებავით (სანკვანძში და საპროცედუროში)	100 მ²		0.40		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	49.3	19.72	7.80	153.82
		მანქანები	ლარი	0.8	0.32	3.20	1.02
		მატერიალური რესურსები ——————————— საღებავი ზეთოვანი (რეცხადი)	კგ	18.3	7.32	4.00	29.28
		საფითხი	კგ	51.0	20.40	0.50	10.20
		ოლიფა	კგ	11.3	4.52	5.00	22.60
		სხვა მასალები	ლარი	0.5	0.20	3.20	0.64
14	9–7-5	შენობის შესასვლელში გადმოხურვის მოწყობა	ტონა კონსტრ.		0.36		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	69.1	24.88	7.80	194.03
		შემდუღებელი აპარატი	მანქ/სთ		4.00	32.40	129.60
		მანქანები	ლარი	14.3	5.15	3.20	16.47
		მატერიალური რესურსები ——————————— ბეტონი (ბმ-250)	მ³		0.60	108.00	64.80
		დგარი ლითონის მილკვადრ.60X60X3	მ		28.00	8.60	240.80
		შემკვრელი 40X60X2	მ		16.00	4.92	78.72
		აგრეთვე კვ. 30X50X2	მ		18.00	3.90	70.20
		ელექტროდი	კგ	15.7	5.65	3.70	20.91
		მეტალოკრამიტი (0.5 მმ)	მ²		10.00	15.00	150.00
		შურუფი	კგ		2.00	3.10	6.20
		სხვა მასალები	ლარი	2.78	1.00	3.20	3.20
15	17–1-4	ხელსაბანების მონტაჟი ტუალეტებში და საპროცედუროში	კომპლ.		3.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1.72	5.16	6.00	30.96
		მანქანები	ლარი	0.06	0.18	3.20	0.58
		მატერიალური რესურსები ——————————— ხელსაბანი (კომპლ.)	კომპლ.		3.00	75.00	225.00
		მილი დ-20 მმ პლ.	მ		20.00	1.40	28.00
		ონკანი დ-20	ც		3.00	7.00	21.00
		ვენტილი დ-20	ც		2.00	6.50	13.00
		ფასონური ნაწილები	ც		16.00	1.50	24.00
16	21–1-1	უნიტაზების მონტაჟი ტუალეტში	კომპლ.		2.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.02	6.04	6.00	36.24
		მანქანები		0.14	0.28	3.20	0.90
		მატერიალური რესურსები ——————————— უნიტაზი	კომპლ.		2.00	145.00	290.00

		ფასონური ნაწილები	ც		12.00	2.00	24.00
		სხვა მასალები	ლარი	1.32	2.64	3.20	8.45
17	21–1-1	**განათების სისტემის რეაბილიტაცია**	1 კვანძი		2.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	10.7	21.40	6.00	128.40
		მატერიალური რესურსები ——————————— სადენი სპილენძის ძარღვით (2X1.5)	მ		80.00	0.92	73.60
		სადენი სპილენძის ძარღვით (3X2.5)	მ		120.00	2.29	274.80
		კაბელ-არხი 16X25	მ		150.00	0.68	102.00
		ჩამრთველი	ც		11.00	6.00	66.00
		საშტეფსელო როზეტი	ც		12.00	6.00	72.00
		სანათი (ლედნათურით)	ც		15.00	20.00	300.00
		ფარი გამნაწილებელი	ც		2.00	25.00	50.00
		სხვა მასალები	ლარი	9.58	19.16	3.20	61.31
18	11–11-1	**შენობის წინ დაზიანებული ქვის საფენის ნაცვლად ბეტონის ფილის მოწყობა (1.4X7)მ²**	100 მ²		0.10		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	55.04	5.50	7.80	42.93
		მანქანები	ლარი	5.66	0.57	3.20	1.81
		მატერიალური რესურსები ——————————— ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი	მ³	10.2	1.02	11.00	11.22
		ბეტონი ბმ-250 (10 სმ)	მ³	1.02	0.10	108.00	11.02
		სხვა მასალები	ლარი	6.64	0.66	3.20	2.12
19	7–41-1	**კიბის აღდგენა (4-საფეხური)**	ც		4.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1.53	6.12	6.00	36.72
		შემდულებელი აპარატი	მანქ/სთ		2.00	32.40	64.80
		მანქანები	ლარი	0.10	0.40	3.20	1.28
		მატერიალური რესურსები ——————————— შველერი №12	მ		2.80	16.90	47.32
		საფეხური (4-ცალი)(1.2 მ)	ც		4.00	30.00	120.00
		დუღაბი ცემენტის	მ³	0.01	0.04	88.00	3.52
		ბეტონი ბმ-250	მ³		0.40	108.00	43.20
		ელექტროდი	კგ		1.00	3.70	3.70
20	46–28-4	**სახურავის დაზიანებული საფარის მოხსნა**	100 მ²		2.10		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	15.9	33.39	4.60	153.59
		მანქანები	ლარი	1.70	3.57	3.20	11.42
21	10–11-1	**სახურვის ნიენიევების სისტემის ნაწილობრივ შეცვლა (ახალი მასალის დამატებით)**	მ³		0.60		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	23.8	14.28	7.80	111.38
		მანქანები	ლარი	2.10	1.26	3.20	4.03
		მატერიალური რესურსები ——————————— ხის მასალა დახერხილი,წიწვოვანი ჯიშის, მშრალი	მ³		0.60	570.00	342.00

		ანტისეპტიკური პასტა	კგ	2.0	1.20	3.00	3.60
		სხვა მასალები	ლარი	3.44	2.06	3.20	6.60
22	10–6-4	**საფარის ქვეშ ახალი შეფენის მოწყობა**	**100 მ²**		**2.10**		**0.00**
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	24.7	51.87	7.80	404.59
		მანქანები	ლარი	2.51	5.27	3.20	16.87
		მატერიალური რესურსები ფიცარი შეფიცვრის 32 მმ (I ხარ)	მ³		2.60	525.00	1365.00
		ლურსმანი	კგ	6.0	12.60	2.40	30.24
		სხვა მასალები	ლარი	0.6	1.26	3.20	4.03
23	12–6-2	**სახურავის ახალი საფარის მოწყობა მოთუთიებული თუნუქის პროფნასტილით (I სამერცხლე)**	**100 მ²**		**2.10**		**0.00**
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	43.9	92.19	7.80	719.08
		მანქანები	ლარი	3.5	7.35	3.20	23.52
		მატერიალური რესურსები მოთუთიებული თუნუქის პროფ.ნასტილით (0.5 მმ)	მ²		235.00	10.00	2350.00
		მოთუთიებული თუნუქი (0.55 მმ)	კგ	30.0	63.00	9.40	592.20
		სამაგრები	კგ	5.0	10.50	2.40	25.20
		შურუფი	კგ	10.6	22.26	3.10	69.01
		სხვა მასალები	ლარი	8.16	17.14	3.20	54.84
24	12–8-4	**სახურავზე წყალგადამყვანი ჟოლობების და მილების მოწყობა**	**100 მ**		**0.40**		**0.00**
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	28.6	11.44	7.80	89.23
		მანქანები	ლარი	0.41	0.16	3.20	0.52
		მატერიალური რესურსები მილი დ-100 მოთუთიებული თუნუქის	მ		20.00	5.00	100.00
		მუხლი დ-100	ც		6.00	5.00	30.00
		ძაბრი მოთუთიებული თუნუქის	ც		6.00	10.00	60.00
		ლურსმანი	კგ	3.80	1.52	2.40	3.65
		სამაგრები ლითონის	კგ	169.0	67.60	2.40	162.24
		ჟოლობები მოთუთიებული (შეკიდული)	მ		40.00	4.00	160.00
		სხვა მასალები	ლარი	13.3	5.32	3.20	17.02
25	8-15-1	**სახურავის გვერდითი კედლის ამოშენება წვრილი საკედლე ბლოკით**	**კბ.მ**		**2.40**		**0.00**
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.36	8.06	7.80	62.90
		მანქანები	ლარი	0.920	2.21	3.20	7.07
		<u>მატერიალური რესურსები</u> ცემენტის ხსნარი	კბ.მ	0.11	0.26	88.00	23.23
		სამშენებლო ბლოკი 19X20X40	ც		190.00	1.20	228.00
		სხვა მასალები					

		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	64.00	14.08	7.80	109.82
		მანქანები	ლარი	2.10	0.46	3.20	1.48
		ცემენტის ხსნარი	კგ.მ	1.78	0.39	92.00	36.03
		სხვა მასალები	ლარი	0.30	0.07	3.20	0.21
27	16–6-1	**შიდა წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის მონტაჟი**	100 მ		0.25		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	60.9	15.23	4.60	70.04
		მანქანები	ლარი	0.21	0.05	3.20	0.17
		მატერიალური რესურსები ——————— მილი წყლის დ-20	მ²		15.00	2.42	36.30
		პლასტმასის ფასონური ნაწილები	ც		10.00	2.00	20.00
		ონკანი დ-20	ც		3.00	12.00	36.00
		შემრევი	ც		1.00	85.00	85.00
		საკანალიზაციო პლასტმასის მილი დ-50	მ		10.00	4.10	41.00
		სამაგრები	კგ	14.0	3.50	2.40	8.40
		სხვა მასალები	ლარი	15.6	3.90	3.20	12.48
28	1–80-4	**წყალსადენის და კანალიზაციის გარე ხაზის მოსაწყობად გრუნტის დამუშავება ხელით (0.3X0.5)მ**	მ³		3.00		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2.99	8.97	6.00	53.82
29	22–8-1	**წყალსადენის და კანალიზაციის გარე ხაზის მოწყობა (დაერთებით)**	კმ		0.02		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	95.9	1.92	4.60	8.82
		მანქანები	ლარი	45.2	0.90	3.20	2.89
		მატერიალური რესურსები ——————— მილი წყალსადენის დ-25	მ		20.00	1.30	26.00
		ფასონური ნაწილები (წყლის)	ც		3.00	3.00	9.00
		ვენტილი დ-25	ც		2.00	7.70	15.40
		მილი საკანალიზაციო დ-100	მ		10.00	4.10	41.00
		ფასონური ნაწილები (კანალიზ.)	ც		2.00	6.00	12.00
		სხვა მასალები	ლარი	0.6	0.01	3.20	0.04
30	9–7-4	**წყლის რეზერვუარის მოწყობა ლითონის სადგამზე**	ტონა კონსტრ.		0.16		0.00
		მუშის შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	35.1	5.62	7.80	43.80
		მანქანები	ლარი	5.18	0.83	3.20	2.65
		შემდუღებელი აპარატი	მანქ/სთ		2.00	32.40	64.80
		მატერიალური რესურსები ——————— დგარები და შემკრავი ლითონის მილკვადრატი 60X60X3	მ		22.00	8.60	189.20
		აგრეთვე კვეთით 30X60X3	მ		8.00	6.95	55.60
		ბეტონი (საძირკვლ) 0.6X0.6X0.6X4	მ³		0.90	108.00	97.20
		წყლის ავზი პოლიეთილენის ტევადობის 0.5 მ³ (კომპლექტით)	კომპლ.		1.00	125.00	125.00
		დაფბუნება მინაბამბის					

		ფასონური ნაწილები			5.00	3.00	15.00
		ელექტროდი		17.0	2.72	3.70	10.06
		სხვა მასალები		2.78	0.44	3.20	1.42
		სულ					19835.1
		სატრანსპორტო ხარჯები	4%				793.40
		სულ					20628.48
		ზედნადები ხარჯები	10%				2062.85
		სულ					22691.33
		გეგმიური დაგროვება	8%				1815.31
		სულ					24506.63
		რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე	3%				735.20
		სულ					25241.83
		დღგ	18%				4543.53
		სულ					29785.36

შატილის ა/ე ს.შატილში ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიის რეაბილიტაცია შეკეთება

სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი (თანხებში გაწერილი)

#	ძირითადი სამუშაოს დასახელება	სამუშაოს პერიოდი და თანხა	სამუშაოს ხანგრძლივობა (დღე)					
			10	20	30	40	50	6
	სადემონტაჟო სამუშაოები							
1	დაზიანებული ჭერის მოპირკეთების მოხსნა	პერიოდი	3					
		თანხა	292.35					
2	დაზიანებული ლესილების და შელებვის ჩამოუხეცა-გაწმენდა (50 %)	პერიოდი	4					
		თანხა	202.42					
	სამშენებლო სარემონტო სამუშაოები							
3	შეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკის შეცვლა	პერიოდი		7				
		თანხა		197.75				
4	ჭერის მოპირკეთება ფიცრით	პერიოდი			9			
		თანხა			1410.67			
5	სანკვანძებში, საპროცედუროში და კიბის გადმოხურვის ქვეშ შეკიდული პლასტიკატის ჭერის მოწყობა	პერიოდი			9			
		თანხა			574.92			
6	კედლების დაზიანებული ლესილების აღდგენა (ღიობების ჩათვლით)	პერიოდი				8		
		თანხა				502.66		
7	კედლების მოპირკეთება კერამიკული საკედლე ფილებით (საპროცედუროში და სანკვანძში) ჩ-1,3 მ	პერიოდი				14		
		თანხა				1135.46		
8	იატაკის მოპირკეთება იატაკის კერამიკული ფილებით სანკვანძებში და საპროცედუროში	პერიოდი				14		
		თანხა				547.32		
9	კედლების შელებვა წყალემულსიის საღებავით (ღიობების ჩათვლით)	პერიოდი					6	
		თანხა					1826.94	
10	ხის იატაკის მოხვეწა	პერიოდი						4
		თანხა						344
11	ხის იატაკის შელებვა	პერიოდი						4
		თანხა						525.54
12	კარის საკეტის შეცვლა	პერიოდი						2
		თანხა						184
13	კედლების შელებვა ზეთოვანი საღებავით (სანკვანძში და საპროცედუროში)	პერიოდი					6	
		თანხა					217.56	
14	შენობის შესასვლელში გადმოხურვის მოწყობა	პერიოდი						10
		თანხა						974.94
15	ხელსაბანების მონტაჟი ტუალეტებში და საპროცედუროში	პერიოდი						
		თანხა						
16	უნიტაზების მონტაჟი ტუალეტში	პერიოდი						3
		თანხა						342.54
17	განათების სისტემის რეაბილიტაცია	პერიოდი	6					3
		თანხა	1128.11					482.58
18	შენობის წინ დაზიანებული ქვის საფენის ნაცვლად ბეტონის ფილის მოწყობა (1,4X7)მ²	პერიოდი				3		
		თანხა				69.1		
19	კიბის აღდგენა (4-საფეხური)	პერიოდი				3		
		თანხა				320.54		
20	სახურავის და დაზიანებული საფარის მოხსნა	პერიოდი					10	
		თანხა					165.02	
21	სახურავის ნიენების სისტემის ნაწილობრივ შეცვლა (ახალი მასალის დამატებით)	პერიოდი						10
		თანხა						482.75

22	საფარის ქვეშ ახალი შეღებვის მოწყობა	პერიოდი	10
		თანხა	1820.73
23	სახურავის ახალი საფარის მოწყობა მოთუთიებული თუნუქის პროფნასტილით (1 საფრენელი	პერიოდი	12
		თანხა	3833.84
24	სახურავზე წყალგადამყვანი ფოლოშების და მილების მოწყობა	პერიოდი	4
		თანხა	622.67
25	სახურავის გეერდითი კედლის აშმენება წვრილი საკედლე ბლოკით	პერიოდი	8
		თანხა	322.43
26	კედლის შელესვა ცემენტის ხსნარით	პერიოდი	8
		თანხა	147.54
27	შიდა წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის მონტაჟი	პერიოდი	7
		თანხა	309.38
28	წყალსადენის და კანალიზაციის გარე ხაზის მოსაწყობად გრუნტის დამუშავება ხელით (0,3X0,5)მ	პერიოდი	2
		თანხა	53.82
29	წყალსადენის და კანალიზაციის გარე ხაზის მოსაწყობა (დაერთებით)	პერიოდი	7
		თანხა	115.15
30	წყლის რეზერვუარის მოწყობა ლითონის საფუძზე	პერიოდი	[illegible]
		თანხა	68[illegible]
ჯამ სამუშაოების უკმური ღირებულება (დღგ-ს, ტრანსპორტის და სხვა დამატებითი ზედნადები ხარჯების გარეშე)			19835.1